საქართ. მუშარ. სოც.-დემ. სარეჯ. პარტია

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 200,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 60,000 მან. წინ...
4 „ 50,000 „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 800,000 მან.
4 „ 500,000 „

№ 427 პარასკევი, მარტის 23 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000

შაბათს, 24 მარტს, საღამოს 6 საათზე
დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა
ტფილისის აღმასკომის პლენუმის სხდომა

დღის წესრიგი: ზემო-ავჭალის გიდრო-ელექტრო. სადგურისთვის ტურბო-გენერატორის აგრეგატების შესაკვეთად. პეტროგრადის მანქანების საალმშენებლო ტრესტთან დადებულ ხელშეკრულების დამტკიცება.

აღმასკომის ყველა წევრებისთვის დასწრება სავალდებულოა.

306—2—1 პრეზიდიუმი.

პარასკევი 22 მარტი
I კონსერვატორია.
ქართველ ფუტურისტების პირველი საღამო
მონაწილეობენ:
ბ. აბულაძე; აკ. ბელიაშვილი,
ირ. გამრეკელი; ბ. გორდეზიანი;
ნ. თავდგირიძე; ნ. შენგელაია;
პ. ნოზაძე; ბ. ქლენტი;
ს. ჩიქოვანი.
...მოვა ალბომი ქართული ფუტურისტული მხატვ...რობის. ნახატები:
ნიკო ფიროსმანიშვილის;
კირილ ზდანევიჩის
ირაკლი გამრეკელის
ბენო გორდეზიანის.
304—1—1

## პუბლიცისტური წერილები

1.

### შპენგლერი და ლენინი

ჩვენი საზოგადოება უეჭველად ერთგვარ ჰა-...ბშია ჩაფლული. პროვინციალური სამრეკლოს ...ვალსაზრისი სავსებით გაბატონდა არა თუ „და-...ლ“, შედარებით ჩამორჩენილ საზოგადოებაში, ...რამედ საოცრად დაქვეითდა და დაკნინდა ჩვენი ...ნტელიგენცია. ძველი ბერძნები და რომაელები ...რა თუ მათემატიკას, ბუნებისმეტყველებას, ასტ-...რონომიას და ფილოსოფიას არ აქცევდნენ უაღრეს ...ურადღებას, არამედ პლასტიკა, რიტორიკა, ხე-...ლოვნება თანდაყოლილ თვისებად უნდა ყოფილი-...ყო გადაქცეული მას რომ ყურადღება მიეპყრო ...ლატონს, არისტოტელს, ან კიდევ მარკ ავრელის, ...უსტინიანე I და სხვათა.

დიდი ადამიანები, დიდი მოღვაწეები მხოლოდ ...ართო მასშტაბის პრობლემებში სჭვრეტდნენ სამ-...ფლიო და საეროვნო საკითხებს. რასაკვირველია ...ფართო მასშტაბში ჩვენ არ ვაქცევთ ისეთ ექს-...პანსიონისტების იდეოლოგიას, როგორც არის უტი-...ლიტარული შემეცნება რომელიმე როდსის, ბერნ-...ჰარდის, ან ჩემბერლენის.

კოსმიური პრობლემები ხდება მხოლოდ მარა-...დიული. „კოსმიური“ მწერლები გვაძლევენ ხოლმე ...ტრანსციონალურ აზროვნებას, ტოლსტოები და ...დოსტოევსკები, შექსპირები და გიოტები ეჭიდე-...ბოდნენ არა „იასნაია პოლიანას“ ან ვარვიკშირის ...(შექსპირი) საკითხებს, არამედ უღრმეს გნოსეო-...ლოგიურ პრობლემებს. სახელოვანი სტრატეგი მოლ-...ტკე, საოცარი ორგანიზატორი და მარინისტი ფონ-...ტირპიცი, ან დაუღალავი ჯარისკაცი სუვოროვი ...როდესაც დაამჩნევენ დალს სამხედრო ხელოვნე-...ბა, როგორც უბრალო იმპერიალისტი ფონ-ბერნ-...ჰარდი, რომ ისეთი სახელები არ ვახსენოთ, რო-...გორც ალექსანდრე მაკედონელის, კარლოს მე-V, ან ...ნაპოლეონ პირველის. შპენგლერი სთვლის მე-XVII ...საუკუნის ლეიბნიცს, ნიუტონს, ან რემბრანდს, ბახს ...ბუმბერაზებად, რომლებთანაც შედარებით კანტი და ...ძველი ფილოსოფიაში, მათემატიკაში, საერთო პრო-...ბლემებში სურს მოაქციოს საშუალო მოაზრეთა რი-...გში.

გობსონიც და შპენგლერიც განსაკუთრებულ ...ყურადღებას აქცევენ იმ მომენტს, რომ ლესინგს, ...გიოტეს, რუსსოს და პრისტლის საფრანგეთის რე-...ვოლუციის ხანაში თავი მოჰქონდათ მსოფლიოს ...მოქალაქეებად, ხოლო შექსპირი და გიოტე მეტ ...სახეებს კრებდნენ თავიანთ თხზულებებისათვის ...უცხოეთის ცხოვრებიდან, ვიდრე საკუთარი მეტრო-...პოლიიდან.

თვით შპენგლერის ჰორიზონტი გადაშლილია ...ძველთა სამეფოდან განოვერის სახლობის სამე-ფომდე და რაც ალსანუსხავია—კარლოს მარქსის მთელი შემეცნება მსოფლიოს ისტორიის დეტერმინისტულ კანონებს უფრო დასტრიალებს, ვიდრე ბისმარკის პანგერმანისტულ ილიუზიებს.

ჩვენთვისაც საჭიროა ერთხელაც არის „ცა ფირუზ-ზურმუხტ“ საქართველოს საზღვრებს გავსცილდეთ, ადგილობრივ ჭირ-ვარამს მანდილი გადავაფაროთ—ვინძლო ჩვენი სამშობლოს მარადიული სევდა, ან ჩვენი დედა მუშათა კლასის მიზანი და პერსპექტივა აღარ დაფაროს და დააბნელოს პოლიტიკურ ორგანოების ჭიდილმა.

მართლაც, ეროვნულ ძილიდან გამოფხიზლება ჩვენ შეგვმატებს ახალ ენერგიას, ეროვნულ ენერგეტიკას მისცემს ცხოველ ემოციებს, ალაგზნებს ჩვენს ფილოსოფიურ სულს და ნაჭუჭებში ჩაყურყუმავებულ ჩვენს თიხის და სიტყვის ოსტატებს სათანადო ჰორიზონტებს გადაუშლის.

ჩვენ გვინდა საკითხის ამ მხრივ მოვლის დროს ორს თანამედროვე ბუმბერაზს შევეხოთ. შპენგლერს და ლენინს. ვინც იცნობს პირველსაც და მეორესაც ანალოგიით საოცრად გაკვირდება. აი ახირებული მწერალი—სად შპენგლერი და სად ლენინი, რა ხალხი და რა შედარება, აპრიორული მსჯელობის ისტორიკოსი და აპოსტერიოსულ აზროვნების ეკონომისტი, პესიმისტი და ოპტიმისტი, რეაქციონერი დილეტანტი და რევოლიუციონერი სპეციალისტი, პოლიტიკური რომანტიკოსი და გაჭენებული მერანით წინ მიმქროლი დიქტატურის ოსტატი.

ჩვენ გვინდოდა შპენგლერის დროს სიტყვა ბუმბერაზი ბრჭყალებში მოგვექცია. ეს იქნებოდა ჩვენი აზრის სწორი გამოსახვა. მართლაც, შპენგლერი ბუმბერაზიც არის და უბრალო მაბეზარიც, შესანიშნავი სტილისტი და გაგებული ისტორიკოსი, მაგრამ ამავე დროს პოლიტიკური პიგმეი. ჩვენ მაინც გვინდა შპენგლერი წარმოვიდგინოდ ბუმბერაზად, რომელმაც თავისი თხზულებებით—„ევროპის დაღუპვა“, „Preussentum und Sozialismis“ და „პესიმიზმი“-თ მთელი ევროპა მოიარა და დააბრუა, რომელიც ტიპიური გამომხატველია თანამედროვე ბურჟუაზიულ ცივილიზაციის. ასეთივე სათაურის თხზულება აქვს ფრანგ მწერალს დომანჟონს—„Le D'eclin de L' Europe“, მაგრამ დომანჟონი ემპირიული ტიპის პუბლიცისტია, რომელიც ნახშირის და რკინის ოპერაციების საკითხებით უვლის საგანს, ვიდრე მსოფლიო კანონების თვალსაზრისით. აშკარაა, ჩვენ დომანჟონი არ გამოგვადგება, როგორც ტიპი, მსჯელობისათვის.

შპენგლერი ამ მხრივ შესანიშნავი ტიპია. მთელი თანამედროვე ევროპიული ცივილიზაციის საუკეთესო წარმომადგენელია შპენგლერი, იგი ბურჟუაზიის კლასიური სულის მეტყველია, ბურჟუაზიულ ინტერესების აკინძვაა შესანიშნავი ფერადებში. შპენგლერი და ლენინი ორი სრულიად სხვა და სხვა ქვეყნის შვილია. შპენგლერი ჰაერში გამოკიდულ ძველ ხელოვნებას, მუსიკას, კულტურას და ნიადაგ გამოცლილ ქვეყნიერებას ჩასჭიდებია, რომელსაც ხელი მოუკიდია ფუკიდიდის, პოლიბის, სალიუსტის და ტაციტის ფანდურისათვის, მაგრამ ლენინი მეორე მსოფლიო ბუმბერაზია, რომელიც ბურჟუაზიულ კულტურის საფუძველში, ნიადაგში შემძვრალა, ხელები მოუკიდია ფოლადში ჩასხმულ მსოფლიოს წარმოებისათვის, მუშებისათვის და ლაპარაკობს არა პასკალსა და ლეიბნიცზე, არამედ პროლეტარიატის დიქტატურაზე, საერთაშორისო ბარიკადების სისტემაზე, რევოლიუციონურ სტრატეგიაზე და პოლიტიკურ მომენტებზე.

ლენინი მთელი მომავლის სიმბოლოა, შემდეგი ხანის საფუძველი, ნიადაგი. მასში რაფაელის მადონა, ან ბახის მოტივები წარსულ ევროპის რესტავრაციას ან სევდას კი არ იწვევს, არამედ ჯურღმულში ჩაყრილ მასების თან და თან მაღლა აყვანა, რომელსაც საკუთარი მეფანდურები და მგოსნები ელანდება ბოგდანოვის მოთხრობებში.

ამ მომავლის ძალის გაფართოვება და მაღლა ასვლა საშინლად აფრთხობს შპენგლერს. გაფართოვების იდეაში მას მიაჩნია პროფანაცია და ვულგარიზაცია მთელი კულტურის. ლენინი სწორედ ამაში ხედავს ხსნას და მომავალს. შპენგლერი გაურბის ამ გზას, ლენინი—მისდევს, პირველი შორდება დედამიწას, მეორე მაგრდება დედა-მიწაზე. პირველი რეაქციას ებღაუჭება, მეორე—რევოლიუციის პიონერია.

ეს ორი საოცარი ანტიპოდია, შესანიშნავი ტიპები. რემბრანდტის ხელი დახატავს ამ შესანიშნავ ძალთა სურათებს თუ შექსპირის გენია გაიღვიძებს ვისიმე ხელში და ჩამოქნის ხსენებულ ტიპებს? ამ ბუმბერაზების ზრახვები და საქმენი, ლაპარაკი და მოქმედება ემპირიულს მსოფლიოში აყალიბებს ცხოვრების ფორმებს და ზოგი მათგანის გაცნობა ჩვენი მიჩქმალული, მიწყნარებული აზროვნების სამეფოსათვის გამომაფხიზლებელი ნარკოტული წამალი იქნება.

თედო ღლონტი.

## მეტი ყურადღება სოფელს

2

ვინც კი ახლო გაეცნობა დღეს ჩვენი სოფლის მდგომარეობას, მას მეტად უნუგეშოდ მოეჩვენება ჩვენი გლეხის ცხოვრება.

დღევანდელმა საერთო სიძვირემ სპგრძნობი გავლენა მოახდინა სოფელზე და გაჭირვებაში ჩააგდო გლეხის ოჯახი, რომელიც ცოტად თუ ბევრად შეძლებულ გლეხად ითვლება, მასაც გაუჭირდა ცხოვრება და იმდენი სახსარი არა აქვს, რომ უბრალოდ მაინც შემოსოს ცოლ-შვილი და თუ „შეძლებული“ გლეხი ამ მდგომარეობაში არის ჩავარდნილი, რაღა იქნება ხელმოკლე ღარიბი გლეხის მდგომარეობა? ამას ადვილად წარმოიდგენს მკითხველი.

გლეხის შემოსავლის წყაროს უმთავრესად ჭირნახული შეადგენს (ჩვ მოგახსენებთ უმთავრესად გორის მაზრაზე). ჭირნახულით ყიდულობს გლეხი ყოველივეს, რაც კი ესაჭიროება ოჯახში და ჭირნახულითვე უძლვება ავ-კარგს.

მეორე შემოსავალს შეადგენს ხილი და სხვა მეურნეობა. მაგრამ ყველა ეს შემოსავალი არაფერს წარმოადგენს აუცილებელ მოთხოვნილების საგნების დასაფარავად, რომელიც გლეხს სჭირდება.

მართალია ერთ ხანს, როდესაც ქალაქები აუტანელ სიმშილობას და სანოვაგის ნაკლებულებას განიცდიდნენ, ბევრმა გლეხმა ისარგებლა ამ შემთხვევით და თუ კი რაიმე მოენარჩუნებოდა გასასყიდად კარგ ფასში ჰყიდდა და აღებული ფულით თითქმის აკმაყოფილებდა ოჯახის მოთხოვნილებას, მაგრამ გაჩნდა თუ არა საქართველოში გარედან შემოტანილი პური, მაშინათვე მოახდინა ჩვენი გლეხის ეკონომიურ ცხოვრებაში დიდი ცვლილება და ჩამოაქვეითა ის. ეს, რასაკვირველია, ასეც იქნებოდა, რადგან ეს მოვლენა შემთხვევითი იყო და არც სასურველი იყო დიდხანს გაგრძელებულიყო, რადგან თუ ერთის მხრივ გლეხი ისარგებლებდა შექმნილ პირობებით, სამაგიეროდ ქალაქის მშრომელი მუშა-მოსამსახურეები ზარალდებოდნენ და ყველაფერს ჰყიდდნენ თუ კი რაიმე გააჩნდათ ოჯახში, რომ გამოეკვებნათ ცოლ-შვილი და თავი დაეხწიათ სიმშილისთვის.

დღეს, ცოტად თუ ბევრად, ქალაქებში ნელნელა უმჯობესდება ცხოვრების პირობები და მუშათა მდგომარეობა სოფლის გლეხთან შედარებით უკეთესია.

ქალაქის მუშის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებაზე და მის ჯანმრთელობაზე ჰზრუნავს მუშათა კავშირები და საავადმყოფო კასები, რომელთაც დახმარება ეძლევათ საავადმყოფო კასიდან და უფასო წამლობა-ექიმობის მხრივაც უზრუნველყოფილნი არიან.

ქალაქებში არსებობენ აგრეთვე მთავრობის სავაჭრო დაწესებულებები და მუშათა მთლიანი კოოპერატივები, სადაც მშრომელ მასას შედარებით კერძო ვაჭრებთან იაფად შეუძლიათ იყიდონ საქონელი, ან ორგანიზაციულად ნისიად გამოიტანოს და წვრილ-წვრილად გადიხადოს, მაგრამ გლეხის მდგომარეობა სულ სხვა პირობებშია ამ მხრივ.

სოფლის გლეხი შეუგნებელია ქალაქის მუშასთან შედარებით, მას არ გააჩნია არავითარი ორგანიზაცია და არც სცდილობს ამისთვის. სოფლის კოოპერატივებიც ვერ არის მკვიდრ ნიადაგზე დაყენებული და ნაკლებად აკმაყოფილებს გლეხის მოთხოვნილებას.

ამ შემთხვევაში გლეხი იძულებული ხდება კერძო ჩარჩ-ვაჭრების კლანჭებში ჩავარდეს და სულით-ხორცამდის გაიცალოს.

ექიმობის მხრივ, ხომ კიდევ უმწეო მდგომარეობაში არის სოფელი და ბევრი უექიმო-უწამლოდ ესალმება წუთი-სოფელს. ბევრი სოფელი დაშორებულია იმ ალაგს, სადაც ექიმი, ან ფერშალი მოიპოება.

ხოლო საექიმო დახმარება კი აუცილებელი არის სოფლისთვის თუ გვინდა, რომ სოფლის მიწის მუშის ჯანმრთელობა საფრთხეში არ ჩავარდეს.

სოფლებში დღეს გავრცელებულია მრავალგვარი ავადმყოფობა, ზოგში ვენერიული ავადმყოფობაც კი მძვინვარებს ქალაქებიდან გადატანილი. შინაური წამლობით კმაყოფილდებიან ამნაირი ავადმყოფები, რომლებიც ვერ იკურნებიან და მათ მორჩენას დროებითი ხასიათი ეძლევა.

ამასთანავე გავრცელებულია კანის ავადმყოფობა, რომელსაც მუნს ეძახიან და თითქმის მთელი სოფლები შეპყრობილნი არიან ამნაირის ავადმყოფობით და იხრებიან მეტის-მეტი ტანის ქავილისა და ფხანისაგან.

— ლამის მთელი სოფელი გაქეციანდეს და არ ვიცით საიდან რას მოუაროთ!—აი რა შემომჩივლა ერთმა გლეხმა, რომელიც გორის მაზრიდან, მდინარე ფრონის ხეობიდან იყო.

— ექიმს მიმართეთ, ჩემო ძმაო ექიმს!—ურჩიე მე.

— რა ვიცით შენი ჭირიმე, სად მიგვიწვდება ხელი!—მითხრა.

რა უშველის ჩვენი სოფლის ჩამოქვეითებას?

უპირველესად ყოვლისა მთავრობამ ყოველნაირი ზომები უნდა იხმაროს, რომ სწავლა, ცოდნა შეიტანოს სოფლებში, მოეწყოს ლექციების კითხვა სხვა და სხვა თემაზე: ჰიგიენაზე, ლოთობაზე, რომელსაც არა ნაკლებ დიდი ზიანი მოაქვს გლეხისთვის, საზოგადო განვითარებაზე და მეურნეობაზე. ამ საქმეში დიდი უნარი უნდა გამოიჩინონ აგრეთვე თემის აღმასკომებმა.

უნდა მოეწყოს აგრეთვე სასოფლო მთლიანი კოოპერატივები სასტიკი კონტროლის ქვეშ, სადაც ხელმისაწვდენ ფასად უნდა მივაწოდოთ გლეხობას პირველ მოთხოვნილების საგნები, რომელიც მას ესაჭიროება წლითი-წლობით ოჯახში მოსახმარებლად, რომ ამით ავაცდინოთ ჩარჩ-წურბელა ვაჭრებს, რომელნიც უხვად არიან გაბნეულნი სოფლად და სარგებლობენ გლეხის გაჭირებით.

ხელი უნდა შეუწყოთ აქტიურის დახმარებით სოფლის მეურნეობას, სხვა და სხვა დარგის ნაწარმოებთა გამრავლებას, ფეხი უნდა მოვადგმევინოთ ჩვენში უმაღლეს კულტურულ მეურნეობას, რადგან ძველი წესით ფონს ველარ გავალთ. ჩვენში არც იმდენი ჭირნახული მოდის, რომ ბაზარზე გავიტანოთ გასასყიდად და კიდევაც, რომ მოვახერხოთ უცხოეთიდან შემოტანილ პურს მაინც მეტოქეობას ვერ გაუწევთ, რადგან ღირსებით დაბლა სდგას ჩვენი პური. სამაგიეროდ კი სხვა და სხვა დარგის მეურნეობა შეიძლება მოეწყოს, რადგან ჩვენი ქვეყნის ბუნება სხვადასხვანაირია და კარგ პირობებს წარმოადგენს მაღალ კულტურისათვის.

ჩვენი ქვეყნის ბუნება გამოსადეგია საუკეთესო ბოსტნეულის მოყვანისთვის, მეხილეობა-მევენახეობისთვის და მეაბრეშუმეობა-მეფუტკრეობისთვის.

ხელისუფლებამ ყურადღება უნდა ადევნოს იმ ბოროტმოქმედებას, რომელსაც ადგილი აქვს სოფლად.

ყველა ამისთვის კი თვით გლეხები, ადგილობრივი მცხოვრებნი უნდა დაეხმარნენ და თვითვე შეუწყონ ხელი სოფლის დაწინაურება-წინსვლელობას, ურომლისოდაც გზას ვერ გავიკაფავთ უკეთეს მომავლისათვის.

დვანელი გლეხიშვილი.

## ზოგი რამ

### მოშენეობის საქმისთვის.

სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა, უეჭველია, შეიცავს აგრეთვე მოშენეობის საქმესაც, ე. ი. ახალშენების გამართვას ხალხის დასასახლებლად, ზრუნვას, რომ ხალხის მოძრაობას სახელმწიფოს საზღვრებში ხელი შეუწყოს ყოველმხრივ. ხალხის მოძრაობას ზოგჯერ გამოიწვევს ნიადაგის სიღარიბე, ზოგჯერ კიდევ ადგილ-მამულის სიმცირე. საქართველოს თემებში უფრო რაჭის მაზრა იძლევა ისეთ ელემენტს, რომელიც საშენე ადგილ-მამულს ეძებს არა თუ საქართველოს სანახებში, არამედ მის გარეშეც, მაგ. ჩრდილო-კავკასიაში. საბჭოთა მთავრობის თხოვნით აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას შარშან ნება უნდა მიეცა რაჭველებისათვის აფხაზეთში დასახლებისა.

საერთოდ უფრო დასავლეთი საქართველო იძლევა, ხშირად მიწის სიმცირის გამო, ახალმოშენეთა ელემენტს და ეს გარემოება უნდა აიხსნებოდეს ხალხის გამრავლებით. ქართველ ტომთა დენა აღმოსავლეთიდან ბუნებრივად უნდა დაეყენებინა კავკასიონის ქედს და ზღვას, ხოლო რაკი ხალხი გამრავლდა, დაიწყო უკან დენა, წამოსვლა აღმოსავლეთისკენ, სადაც მრავალი ახალშენია დასავლელი ქართველებისა და გაცილებით უფრო ბევრი იქნებოდა, რომ ძველი რეჟიმის მთავრობას არ დაებრკოლებინა იმპერიალისტური მიზნებით. მოშენეობის საქმე სახელმწიფომ პირველ ხარისხოვან საქმედ უნდა მიიჩნიოს, რადგანაც ამით ხალხის ეკონომიური კეთილდღეობა უკეთეს გარემოებაში ჩადგება, მერე კიდევ შემცირდება თემობრივი გარჩევა, რაიც ახასიათებს დღევანდელ ქართველ თემებს, და წარმოიშვის ზოგადი საერთო ტიპი ქართველისა.

მაგრამ საბჭოთა მთავრობა ამას არ უნდა დასჯერდეს. მოშენეობისათვის ზრუნვა უნდა გადაიტანოს იმ ქართველებზედაც, რომელნიც ისტორიულ ბედ-უკუღმართობას გადაუტყორცნია ჩრდილოეთ კავკასიას ოსმალეთს და სპარსეთს. ჩრდილოეთ კავკასიაში მხოლოდ მთელი „სტანიცებია“ ქართველი ყაზახებისა, სპარსეთში მთელი პროვინცია ფერეიდანი, ხოლო ოსმალეთში შავი ზღვის სანაპირო ქალაქები კონსტანტინოპოლი, მისი მაზრა, ბრუსა და სხვა სავსეა მოშენე ქართველებითა. დიდ ცენტრებში უნდა დაინიშნოს აგენტები, რომელნიც მოვალე უნდა იქმნენ აუხსნან ადგილობრივ ქართველობას სარგებლობა მამულში დაბრუნებისა და ხელი შეუწყონ მათ გადმოსახლებას ადგილობრივ მთავრობასთან საქმის დაჭერით, ხოლო მანამდე კულტურული მოღვაწეობა დაიწყონ ქართული წერა-კითხვის გავრცელებით. მოგეხსენებათ ამიერკავკასიაში მრავალი იყო მოშენე ბერძენი, ადგილობრივ მოქალაქეობის მდგომარეობაშიაც მყოფი, მაგრამ ყველამ მიაშურა დედა საბერძნეთს, ხოლო ვიდრე ჩვენში იყვნენ, სულიერი კავშირი საბერძნეთთან მაგრად ეჭირათ, ფერეიდანელმა ქართველობამ ჯერ კიდევ რუსი ხელმწიფობის დროს სთხოვეს მეფის მთავრობას საქართველოში გადმოსახლების ნებართვა, მაგრამ უარი უთხრეს ისევე, როგორც იმ ქართველობას, რომელიც შინ ეძებდა საახალშენო ადგილს იძულებული კი შეიქმნა ჩრდილო-კავკასიაში დასახლებულიყო. მერე ფერეიდანელ ქართველთა დენა აქეთკენ არ შეწყვეტილა. ეხლაც აქ არის იქაური ქართველების დელეგატი სეიფოლა იოსელიანი, რამდენიმე ხანია მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მიუღია გადაჭრილი პასუხი საბჭოთა მთავრობისაგან. დღეს როცა მიწა სახელმწიფოსია, ბედუკუღმართობით გადახვეწილ ქართველთა დაბრუნებისთვის ზრუნვა ჩვენს წმინდა მოვალეობას უნდა შეადგენდეს.

მაგრამ ოსმალეთში მოშენე ქართველთა გარდა მრთელი პროვინციები შედის, ეთნოგრაფიული საქართველოს ტერიტორია, სადაც მუსლიმანი ქართველობა ცხოვრებს როგორც მაგალითად ბასიანის ხეობა (აზრუმის ვილაეთი), ჭანეთი (ლაზისტანი), ისპირ-თორთუმის რაიონი და ბათომის ოლქის უდიდესი ნაწილი და ნუ თუ მათთვის კულტურულ ზრუნვაზე ხელი უნდა ავიღოთ, თავიდან მოვიშოროთ სულიერად?

გადახვეწილი ქართველობა უნდა დავაბრუნოთ სამშობლოში, ხოლო ოსმალეთის საზღვრებში მოქცეული საქართველოს ტერიტორია და მისი მცხოვრები მუსლიმანი ქართველობა უნდა ჩავაყენოთ, დიპლომატიური ურთიერთობის საშუალებით, ისეთ გარემოებაში, რომ ქართული კულტურული განათლება მათი ოსმალეთის მთავრობამ შეიწყნაროს და უზრუნველჰყოს. მათი მუსლიმანობა არ ჰნიშნავს ოსმალობას, მაშასადამე არც უნდა იძლეოდეს საფუძველს, რომ გაოსმალების პოლიტიკამ იმსხვერპლოს.

**პეტრე მირიანიშვილი.**

გორც ფიქრობენ, გამოარკვევს მოკავშირეების და ოსმალეთის კონფერენციის განხილების დროსა და ადგილს და აირჩევს პოლიტიკის ხაზს, რომელიც მოკავშირეებმა უნდა გაატარონ ამ კონფერენციაზე.

**იაპონიაც მონაწილეობს**

**ბერლინი.** 22 მარტი ლონდონში ჩავიდა იაპონიის ექსპერტი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ოსმალეთის კონტრ-წინადადებათა განსახილველად გახსნილ თათბირზე.

**იმედი აქვთ, რომ მოხდება საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა**

**ბერლინი.** 22 მარტი, ლონდონის ოფიციალურ წრეებში იმედი აქვთ, რომ აღდგომის შემდეგ შესაძლებელი იქნება ლოზანაში შემუშავებულ საზავო ხელშეკრულების პროექტზე ხელის მოწერა. როგორც ფიქრობენ, ლონდონის თათბირი გაგრძელდება ერთ კვირაზე მეტს.

**საზაზი.**

**ლონდონი,** 22 მარტი. გუშინ თემთა პალატაში კვლავ ირჩეოდა საკითხი მესოპოტამიის ევაკუაციის შესახებ. კოლონიების მინისტრის ამხანაგმა უარი სთქვა მესოპოტამიის საქმეთა სპეციალურ კომისიის ანგარიშის გამოქვეყნებაზე და განაცხადა, რომ ამ მხარის ევაკუაცია დაკავშირებულია ოსმალეთთან.

**ანტიოქიის და ელექსანდრეტის მცხოვრებთა პროტესტი.**

**ბერლინი,** 22 მარტი. ბეირუტიიდან მიღებულ ფრანგულ ცნობების მიხედვით ანტიოქიის და ალექსანდრეტის მცხოვრებლებმა მიმართეს ქემილ-ფაშას პროტესტით, სირიის მცოვრებლების საფრანგეთის ბატონობის ამარა დატოვების წინაალმდეგ.

**თითქოს არ იციან.**

**რომი.** 22 მარტი. იმის გამო, რომ გენერალი პანგალოსი აწარმოებს მზადებას საბერძნეთის გენერალური შტაბის კარამაჩში გადასატანად, უმაღლესმა კომისრებმა გაგზავნეს სალონიკში რამოდენიმე უმაღლეს თანამდებობის პირები, სათანადო ინფორმაციების მისაღებად.

**საბერძნეთის არმიაში.**

**რომი.** 22 მარტი. გენერალი პანგალოსი მოითხოვს საბერძნეთის არმიის მრავალ სახელოვან ხელძღვანელების გადაყენებას, რომლებიც ეწინააღმდეგებიან საბერძნეთში რესპუბლიკის გამოცხადებას. ამ მოთხოვნილების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პანგალოსი იმუქრება არმიის ათინისაკენ გალაშქრებით.

**ქემალ ფაშის მოგზაურობა.**

**ანგორა** 21 მარტი. ქემალ ფაშის მოგზაურობა ადანიის ვილაიეტში გრძელდება. სადგურ კარაკაჩზე წარმოთქმულ სიტყვაში, მან განაცხადა, რომ განზრახულია ეკონომიურ კონგრესის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარება და აგრეთვე კონგრესები სანიტარულ და განათლების საკითხების შესახებ. ტერზუსში ქემალ ფაშამ წარმოსთქვა სიტყვა მიწის მუშაობის მნიშვნელობის შესახებ.

**საფრანგეთის ჰაეროპლანის ხელში ჩაგდება.**

**ანგორა** 21 მარტი. ოპერატიულ ცნობის თანახმად ოსმალეთის ტერიტორიაზე კალისის ახლოს (ადანიის ვილაიეტი) ჩამოვარდა საფრანგეთის ჰაეროპლანი. ჰაეროპლანის დასახსნელად გაიშურნენ რამოდენიმე შეიარაღებული ფრანგი-ცხენოსნები, რომლებიც გადავიდნენ საზღვარზე. მოხდა შეტაკება, მაგრამ ჰაეროპლანი დარჩა ოსმალებს.

**ვენიზელოსის ჩამოსვლის მიზანი.**

**ლონდონი** 22 მარტი. ინგლისის გაზეთების აზრით ლონდონში ვენიზელოსის ჩამოსვლა, მოკავშირეთა თათბირზე მონაწილეობის მისაღებად, აიხსნება იმ გარემოებით, რომ იმ უმთავრეს საკითხთა შორის, რომლებიც განხილულ უნდა იქმნას, იქნება აგრეთვე საკითხი საბერძნეთის კონტრიბუციის შესახებ.

**საფრანგეთის ბატონობის წინააღმდეგ.**

**ბერლინი** 22 მარტი. საფრანგეთის პრესა ბეირუთიდან იტყობინება, რომ ადანაში ანტიოქიის და ალექსანდრეტის მოსახლეობამ არა ერთხელ მიმართა ქემალ ფაშას წერილობითი პროტესტით ფრანგების ძალადობის წინაალმდეგ, რომელსაც განიცდიან ფრანგების მიერ დაკავებული სირიის ოლქებში მცხოვრებთა ოსმალურიმოსახლეობა.

# რადიო დეპეშები

## რურის ოლქის ოკუპაცია

**საპროტესტო გაფიცვა**

**ბერლინი.** 22 მარტი. ესსენში გამოცხადებულია 24 საათის გაფიცვა ნიშნად პროტესტისა იმის წინააღმდეგ, რომ ოკუპანტებს მიჰყავთ მძევლები.

**გერმანელ რკინის გზელების დათხოვა**

**ბერლინი** 22 მარტი, რეინლანდის კომისიის უკანასკნელი დადგენილების თანახმად, რეინლანდში სამსახურიდან დაითხოვეს 184 გერმანელი მოსამსახურე უმთავრესად, რკინის გზელები და საბაჟოს მოსამსახურეები.

**ციხეები ველარ იტევენ**

**ბერლინი.** 22 მარტი. 15 კაცისათვის გამოანგარიშებული ვერდენის წინასწარი ციხე ამ ჟამად ავსებულია დაპატიმრებულ გერმანელებით, რომელთა რაოდენობა ციხეში ამ ჟამად აღემატება 100 კაცს. ყველა დაპატიმრებულთა დანაშაული მდგომარეობს იმაში, რომ მათ არ მოისურვეს მუშაობა მტაცებლების ძალა-უფლების ქვეშ.

**სიძვირის ზრდა**

**პარიზი** 22 მარტი. სამთო-მადნო მრეწველობის მუშებს შორის, უმთავრესად ლანდებრეიერის რაიონში, ადგილი აქვს მღელვარებას, რომელიც გამოწვეულია პირველი მოთხოვნილების საგნებზე ფასების შეუჩერებელი ზრდით,

**გერმანიის საპროტესტო ნოტა**

**ბერლინი.** 22 მარტი. გერმანიის წარმომადგენელმა პარიზში გადასცა საფრანგეთის მთავრობას წერილობითი საპროტესტო განცხადება რურის ოლქში ოკუპანტების განუწყვეტელი ძალადობის წინააღმდეგობა ეს განცხადება წარმოადგენს გერმანიის 25 თებერვლის საპროტესტო ნოტის გაგრძელებას.

**აქებს თავის ლაქიებს**

**პარიზი** 22 მარტი. პარიზში გამართულ ჟურნალისტების ბანკეტზე, პუანკარემ ქება შეასხა მათ რურის საკითხში მათი პოზიციის გამო.

**ბონარ ლოუს განცხადება**

**ლონდონი** 22 მარტი. თემთა პალატაში ბონარ ლოუმ განაცხადა, რომ საფრანგეთის მთავრობამ შეკითხვა მისცა ინგლისის მთავრობას, თანახმაა თუ არა უკანასკნელი შეუერთდეს იმ ზომებს, რომელიც უნდა გატარდეს გერმანიის განიარაღების საკითხში და მიიღოს მონაწილეობა საკონტროლო კომისიაში ვერსალის ხელშეკრულების განმტკიცების მიზნით. ბონარ ლოუს განცხადებით, ინგლისის მთავრობამ დაავალა გენერალ ლიკხემს მიიღოს მონაწილეობა ამ კომისიაში.

**რეინლანდის გამოყოფის წინააღმდეგ**

**ბერლინი** 22 მარტი. მთელი ინგლისის პრესა მასთან ერთად „ტაიმსიც“ იმ აზრს გამოსთქვამს, რომ იმ შემთხვევაში თუ რეინლანდი რომელიმე ფორმაში გამოყოფილი იქნება გერმანიისაგან, ყოველგვარი განხილვა საკონტრიბუციო საკითხისა, იქნება უშედეგო და ასეთ პირობებში საკითხის გადაჭრის ყველა გეგმები მიუღებელია.

**ამერიკის წრეების უკმაყოფილება**

**ბერლინი** 22 მარტი. „ივნინგ პოსტის“ სიტყვით, ამერიკის წრეებში უფრო და უფრო იზრდება უკმაყოფილება ევროპის მდმომარეობით, ვინაიდან ამერიკის ზოგიერთი სამრეწველო წრეები სერიოზულად გრძნობენ იმ დანაკლისს რომელიც გამოწვეულია რურში შექმნილი მდგომარეობით.

**არაოფიციალური მოლაპარაკება**

**ლონდონი** 21 მარტი. იტყობინებიან, რომ საფრანგეთს და გერმანიას შორის უკვე დაიწყო არაოფიციალური მოლაპარაკება საკონტრიბუციო საკითხის შესახებ. ეს მოლაპარაკება დაიწყო ამ დღეებში შვეიცარიაში, სადაც ერთი მეორეს შეხვდენ საფრანგეთის წარმომადგენელი შვეიცარიაში დიუბუა და გერმანიას ფინანსისტი ბერგმანი. შეხვედრის დროს ბერგმანმა წარუდგინა დიუბუას საკონტრიბუციო გეგმის საერთო სქემა, რომელიც მისაღებია გერმანიის მთავრობისათვის. დიუბუა გაემგზავრა პარიზში, რათა წარუდგინოს ეს გეგმა პუანკარეს. კომპეტენტურ წრეებში ფიქრობენ, რომ შეთანხმება მიღწეული იქნება მახლობელ სამი კვირის განმავლობაში.

**ანიარაღებენ გერმანიას.**

**რომი** 22 მარტი. ინგლისის მთავრობა შეუერთდა საფრანგეთის წინადადებას გერმანიის მიმართ განიარაღების საკონტროლო კომისიის მუშაობის განახლების შესახებ. კომისიის თავმჯდომარედ იქნება გენერალი ნელლე.

**საფრანგეთის გეგმა მზად არის.**

**რომი** 22 მარტი პარიზის პოლიტიკურ წრეებში აცხადებენ, რომ საფრანგეთმა უკვე შეიმუშავა თავისი წინადადებანი გერმანიისადმი და უკანასკნელს დარჩენია მხოლოდ შეუდგეს მოლაპარაკებას საფრანგეთის და ბელგიის მთავრობებთან.

**უეცარი ცვლილება.**

**პარიზი** 22 მარტი. საფრანგეთის პრესა იტყობინება, რომ გერმანიის მმართველი წრეების და მოკიდებულება რურის საოკუპაციო ხელისუფლების მიმართ მოულოდნელად შეიცვალა. ფიქრობენ, რომ ეს ცვლილება წარმოადგენს ბერლინში აღებულ ახალი ხაზის შედეგს.

**პრესტიჟის დასაცავად.**

**მოსკოვი** 22 მარტი. პარიზიდან იტყობინებიან, რომ ბრიუსელის კონფერენციას არ მოუტანია ჯერ დამამშვიდებელი შედეგები, რომლებსაც ელოდენ საფრანგეთის წრეები. პარიზში ფიქრობენ, რომ ბონარ ლოუ ოფიციალურად არ ჩაერევა, მაგრამ მხოლოდ ერთი ფიქრი, რომ ინგლისის მთავრობას შეუძლია მისცეს გერმანიას დარიგება, აღშფოთებს საფრანგეთის გაზეთებს. პარიზში დარწმუნებული არიან, რომ გერმანია წავა დათმობებზე, მაგრამ თავისი პრესტიჟის დასაცავად საფრანგეთს სურს მიაღწიოს გერმანიის ოფიციალურ კაპიტულიაციას.

**სიგაფიცვო ფონდების რეკვიზიცია.**

**მოსკოვი** 22 მარტი. მიუნსტერში და გლადბახში ფრანგებმა რეკვიზიცია უყვეს უმუშევართა დამხმარე კასის 10 მილ. მარკას, და რკინის გზელთა კავშირის კასის 60 მილ. მარკას. რეიტეში, სადაც რეკვიზიცია უყვეს აგრეთვე უმუშევართა ფულს, საქმე მივიდა უმუშევართა აჯანყებამდე, რომელთა შორის პოლიციამ მოახდინა მრავალი დაპატიმრებანი.

## უცხოეთი

**კომისიების არჩევა**

**ლონდონი** 22 მარტი დღეს მოკავშირეთა წარმომადგენლების პირველ სხდოსაზე ოსმალეთის საკითხის შესახებ, თავმჯდომარეობდა ლორდ კერზონი. საერთო განხილვის შემდეგ არჩეულ იქმნა კომისიები, რომლებშიც გარჩეულ იქმნება ოსმალეთის კონტრ-წინადადებების სხვა და სხვა პუნქტები.

**ამერიკანელების ინტერესს შეადგენს საბჭოთა რუსეთის ცნობა.**

**მოსკოვი.** 22 მარტი. რუსეთიდან ნიუ-იორკში დაბრუნებულ ვემთ-მიმოსვლის საზოგადოების დირექტორმა კარვერმა გამოსთქვა სრული კმაყოფილება მოგზაურობის შედეგებით და აღნიშნა ამერიკის საზოგადოების საბჭოთა მთავრობასთან მეგობრული თანამშრომლობის შესაძლებლობა კარვერმა აღნიშნა აგრეთვე რუსეთის ნახშირის, რკინის დამმუშავებლის, ნავთის და მეტალურგიულ მრეწველობის პროგრესი და სთქვა, რომ ვილსონისა და გარდინგის პოლიტიკა რუსეთის მიმართ ეწინააღმდეგება ამერიკანელების ინტერესებს და აუცილებლათ შეცვლილ უნდა იქმნას.

**ფოსტერის პროცესი.**

**მოსკოვი.** 22 მარტი. სასამართლოს სხდომაზ… როდესაც ირჩეოდა კომუნისტ ფოსტერის საქ… მთავრობის ჯაშუშმა მოროუმ, იგივე აშვორტ… განაცხადა, რომ ფოსტერმა კომუნისტური პარტი… სახელით მოაწყო ყრილობა, რომელზედაც ბრუკ… გვარით მონაწილეობას ღებულობდა ლოზოვსკი.

**სცვლიან დამოკიდებულებას.**

**მოსკოვი.** 22 მარტი. ჩეხიის მემარცხენე ნ… ციონალ-სოციალისტების ორგანო იტყობინება, რ… საფრანგეთი უკვე სცვლის თავის დამოკიდებულ… რურის საკითხისადმი. გაზეთის აზრით, საფრანგ… თი, აძლევს რა პოლონეთს ვილენშინასა და აღმ… სავლეთ გალიციას, სამაგიეროთ ალბათ ფიქრო… იურიდიულად იცნოს რუსეთი.

**გერმანიის ქონების გაყიდვა.**

**პარიზი.** 22 მარტი. მარტის ბოლო რიცხვ… ში კამერუნში დაიწყება იქ ჩამორთმეულ გერმან… ის ქონების საჯარო ვაჭრობით გაყიდვა. საჯა… ვაჭრობა გაგრძელდება აღნიშნული ქონების სრ… ლიკვიდაციამდე.

## რუსეთი.

**ამხ. ლენინის ჯანმრთელობა**

**მოსკოვი** 21 მარტი. ჯანმრთელობის მდგომარეობა უცვლელია.

20 მარტი. 1 საათი. პროფესორები. **მინკოვსკი. ვერსტერი, კრამერი.** პრივატ-დოცენტი: **კოჟევნიკოვი.** ჯანმრთელობის სახალხო კომისარი: **სემაშკო.**

**ესერების პარტიის უბრალო წევრთა ყრილობა**

**მოსკოვი** 22 მარტ. 20 მარტს, მოსკოვში დამთავრდა ესერების პარტიის უბრალო წევრთა სრულიად რუსეთის ყრილობა. ამხ. ლენინისადმი გამოგზავნილ დეპეშაში—ყრილობა უსურვებს ვლადიმირ ილიჩს მალე განკურნებას, რომ მისი ხელმძღვანელობით იბრძოლონ რუს. კომპარტიის რიგებში სოციალისტურ რევოლიუციის გამარჯვებისათვის. ამხ. ტროცკისადმი მიმართვაში ყრილობა აცხადებს რომ იგი მზად არის პირველდაძახებისთანავე დადგეს წითელ არმიის რიგებში. ყრილობამ გაუგზ… დეპეშა აგრეთვე კომინტერნს. ამ დეპეშაში ყრილ… ბა ჰკიცხავს ჰუნგრეთის ესერებს და ცეკისტ… როგორც ბურჟუაზიის აგენტებს და აღუთქ… მთელი ძალღონე მოახმაროს მსოფლიო პროლე… რულ რევოლიუციის გამარჯვების საქმეს.

სხდომის დასასრულში სიტყვები წარმოსთქ… ამხ. ბუხარინმა და რადეკმა, რომელთაც ხანგრძ… ვი ტაშით შეხვდენ. ამხ. ბუხარინმა გამოსთ… რწმენა, რომ ყრილობის მონაწილეთა შორის … მუნისტური პარტია მოიპოვებს ერთგულ ამხანაგ… ბუხარინის შემდეგ—სიტყვას ამბობენ ამხ. რად… ყრილობის მდივანმა მორგენშტერნმა უპასუხ… ამხ. ბუხარინს აღნიშნა, რომ ბუხარინის და რ… კის სიტყვის შემდეგ დელეგატებმა „შევბა იგვრძ… ბევრი დელეგატები სტიროდენ, ხელს ართმევ… ბუხარინს, ზოგიერთები კოცნიდენ რადეკს.

## ახლო აღმოსავლეთი.

**ლონდონის თათბირის გახსნა**

**ბერლინი.** 23 მარტი, ლონდონიდან მიღებულ ცნობებით. დაიწყო მოკავშირეთა წარმომადგენლების თათბირი ოსმალეთის კონტრ-წინადადებების განსახილველად. თათბირზე თავმჯდომარეობს ლორდ კერზონი. საბერძნეთის წარმომადგენელია ვენიზელოსი.

**ირჩევენ „პოლიტიკის ხაზს“**

**ლონდონი** 22 მარტი, ლონდონში დღეს დაწყებული მოკავშირეთა ექსპერტების თათბირი, რო-

## ლ. ტროცკი ეროვნული საკითხის შესახებ

**მოსკოვი.** მარტის 21-ს, „პრავდაში“ მოთავსებულ წერილში „ფიქრები პარტიის შესახებ“ ამხ. ტროცკი იხილავს საკითხს: რაში მდგომარეობს გლეხების მიმართ არა სწორ პოლიტიკის საშიშროება და ამბობს, რომ გლეხობას შეუძლია გამოვიდეს პროლეტარიატის ხელმძღვანელობიდან და მოხდეს ბურჟუაზიის ხელმძღვანელობის ქვეშ. ეს საშიშროება ათკეცდება, როდესაც ლაპარაკია ცარიზმის მიერ დაჩაგრულ პატარა და ჩამორჩენილ ერების გლეხობის მასების და ახალგაზრდა არამრავალრიცხოვან პროლეტარიატის შესახებ. ნაციონალური კავშირი—კლასთან ეს იგივე კავშირია („მიჩკა“, რომელიც არა ერთხელ გამომჟღავნებულა ისტორიაში, როგორც მეტად მაგარი ცემენტი.

ერთად ერთ სალ პოლიტიკათ აქ შეიძლება ჩაითვალოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც საქმით გვიმტკიცებს, რომ ნაციონალურ-კულტურული ინტერესები, რომლებიც ასე ხშირათ შელახულ იყო წარსულში, ნახულობენ ეხლა ისეთ დაკმაყოფ… ბას, როგორც კი შესაძლებელია არსებულ … ტიურ პირობებში. გადადის რა შემდეგ საკ… პარტიულ ახალგაზრდობის აღზრდის შესახებ, ტროცკი სწერს: „ეროვნული საკითხი პარტიის … ნაშე თითქმის ჯერ არ დასმულა. პარტიას ხან… ხან გონია, რომ მან ის უკვე მოაგვარა. ერო… საკითხში პარტიას უეჭველათ ესაჭიროება გა… რებითი კურსი, ახალგაზრდობას კი პირველ … ყებითი. ეს საკითხი გავლილ უნდა იქნას … დროზე მეტად მაგარ პროგრამით. ვინც გ… უვლის ეროვნულ საკითხს, ის შეიძლება ძლი… ვილათ დამარცხდეს. ყველაზე უფრო ფართო … მოუკიდებლობა ნაციონალურ კულტურულ … სავსებით შესაძლებელია სამეურნეო ცენტრა… ციის დროს. მაგრამ სამეურნეო ცენტრალი… ნაციონალურ კულტურულ დეცენტრალიზაცი… სახელმწიფოებრივი შეთანხმება—დიდი და … ამოცანაა, რომლის გადაჭრა მოითხოვს სიფ… ლეს, დაკვირვებას და სიმტკიცეს.

# ახალი ამბები.

— **სიღნაღის წყალსადენი.** სიღნაღის საბჭოს აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა სიღნაღის წყალსადენის აღსადგენათ გაღებულ იქნას სათანადო თანხა. აღნიშნული წყალსადენი გაკეთდა 15 წლის წინად და მოქმედებდა წესიერად 1919 წლამდე, მაგრამ უკანასკნელ ხანების ნიაღვრებმა გააფუჭეს წყალსადენი. წყალსადენის აღსადგენათ აღმასკომის გადმოცემით საჭიროა 9.600 მანეთი ოქროთი რაიც უნდა შეკრეფილ იქნას ამის ნახევარი ქ. სიღნაღის მცხოვრებების შორის და დანარჩენ თანხას მიცემს კი აღმასკომი საჭიროებს სახ. კომისართა საბჭოდან.

— **მუშათა დასასვენებელი სახლი.** საქართველოს პროფსაბჭომ შუამდგომლობა აღძრა სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა ბათომში არსებული ტრიანდფილიდილისის აგარაკი გადაცემულ იქნას აჭარის პროფსაბჭოს განკარგულებაში ბათომის მუშათა დასასვენებელ სახლის მოსაწყობად.

— **ტფილისის საერთო განათლების კურსებზე.** სიმწიფის მოწმობის მისაღებათ, სადეპუტატო გამოცდები დამთავრდა. გამოცდებზე გამოცხადდა 70 მსმენელი. ამათში გამოცდები სიმწიფის მოწმობაზე ჩააბარეს შემდეგმა პირებმა: 1) ანთელავა ნიკოლოზი 2)ბარამიძე მიხეილი 3)დოლიძე ვარლამი 4) თაქთაქიშვილი სოფიო 5) კეკელიძე აბესალომი 6) მდივნიშვილი ანთიმოზი 7) ფარულავა აკაკი 8) ფარულავა იასონი 9)სამურაშვილი სერაფიონი 10) ჩიტიშვილი ივანე 11) ჩუბინიძე ირადიონი 12) ცხვარაძე კოწია 13) ჭუმბურიძე ანნა 14) ხუციშვილი ვასილი 15) ხუროშვილი ვლადიმერი 16) ჯორბენაძე ვენედიქტე 17) ბარნოვი ივანე 18) ესაძე ივანე 19) ლომაძე ვასილი 20) ჩხაიძე ტელემაკი 21) ხავთასი იოსები 22) დუმბაძე თეოდორა 23) დეკანოიძე თეოდორე 24) ინასარიძე ალექსანდრე.

— **განათლების კომისარიატში.** განათლების სახალხო კომისარიატმა ყველა ტეხნიკუმებს დაუგზავნა ცირკულიარები, რომლითაც წინადადება ეძლევათ ტეხნიკუმის გამგეებს სასწავლებლებში წარმოდგენის მოწყობის უფლებისა, რომელიც უნდა იყოს ფასიანი სკოლების სასარგებლოდ.

— **საბავშვო ჟურნალი.** გამოვიდა საბავშვო ჟურნალის „ნაკადულის" 1923 წლის № 1. ჟურნალი გამოვა ყოველთვიურად. მიიღება ხელის მოწერა მცირე წლოვან ჟურნალ „ნაკადულზე" და მოზრდილთათვის ჟურნალ „ჯეჯილზე", რომელიც გამოვა ორ თვეში ერთხელ. ორივე ჟურნალები გამოდის განათლების სახალხო კომისარიატის სოციალურ აღზრდის მთავარ მმართველობის სალიტერატურო სამხატვრო სექციის ხელმძღვანელობით. ფასი „ნაკადულზე" (თვიურად) ღირება 15 კაპ. „ჯეჯილზე" 25 კაპ, ოქროთი. ქალაქ გარედ გაეგზავნება ხელისმომწერლის ხარჯზე. მისამართი: ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ. № 5. განათლების სახალხო კომისარიატი, „ნაკადულისა" და „ჯეჯილის" რედაქცია.

— **განათლების მუშაკთა სახლში.** ტეხნიკურ თანამშრომელთათვის საერთო განათლების ლექციების კითხვა ქართულ ენაზე დაიწყება 28 მარტს, სალ. 5 საათზე; რუსულ ენაზე—პარასკევს, მარტის 30-ს, სალამოს 5 საათზე. დელეგატების მოვალეობაა აუწყონ ეს ტეხნიკურ თანამშრომლებს და გამოგზავნონ ისინი განათლების მუშაკთა სახლში აღნიშნულ დროზე.

— **ცეცხლის მქრობელთა რაზმის წარმომადგენელთა ყრილობაზე მოსკოვში** იგზავნება ტფილისის ცეცხლის მქრობელთა რაზმის ბრონდ-მაიორი ამხ. ბერიძე.

— **სავაჭროების ანტისანიტარულ მდგომარეობის საწინააღმდეგოთ.** წინადადება მიეცა სამმართველოს განყოფილებას ჯანმრთელობის განყოფილებასთან ერთად, დაათვალიეროს ყველა სავაჭროები და თუ სანიტარულის მხრით მათი დატოვება შეუძლებელია დაუყონებლივ დაკეტილ იქნას.

— **მოხალისე კორესპოდენტთა სიის დამტკიცება.** აღმასკომის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცდა სია მოხალისე კორესპოდენტთა და აღიძრა შუამდგომლობა საქ. ცენტ. აღმასკომის წინაშე ყოველგვარ გადასახადებისაგან მათი განთავისუფლების შესახებ.

— **უფასო აბანო მილიციის თანამშრომლებს.** ერთ-ერთი აბანო კვირაში ერთხელ გადაცემულ იქნა სამმართველოს განყოფილების განკარგულებაში, მილიციის თანამშრომლების საბანაოთ—უფასოთ.

— **სწრაფი დახმარების ეტლის გადასახადი.** ამა 20 მარტიდან გადიდებულია: მცირე მანძილზე 100 ათასი მანეთი, დიდ მანძილზე 150 ათ. მანეთი.

— **გვთხოვენ გამოვაცხადოთ. დავკარგე** კომუნალურ მეურნეობის მუშათა პროფესიონალური კავშირის საწევრო წიგნაკი № 3346 ასია კაჯარდუზოვის სახელზე და პირადობის მოწმობა მიცემული ქალაქ ტფილისის აღმასკომის საერთო კანცელარიის მიერ. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

— **სანიტარული გაუმჯობესება.** აღმ. პრეზიდიუმმა თავის სხდომაზე დაადგინა: წინადადება მისცეს სამმართველოს განყოფილებას, ჯანმრთელობის განყოფილებასთან ერთად დაათვალიეროს სავაჭროები, რომელსაც ვაჭრობის ნებართვა სანიტარულ ექიმებიდან არ მიუღიათ და თუ აღნიშნული სავაჭროები, რომელსაც ვაჭრობის ნებართვა სანიტარულ ექიმებიდან არ მიუღიათ და თუ აღნიშნული სავაჭროები აღმოჩნდებიან ანტისანიტარულ მდგომარეობაში, დაკეტილ იქნებიან სათანადო ოქმების შედგენით.

— **ბანდიტების შეპყრობა.** საგანგებო კომისიის მიერ შეპყრობილ იქმნა ბანდიტების ჯგუფი, რომელნიც თავს ესხმოდნენ ღამით ტფილისის მცხოვრებლებს და თავიანთ თავს საგანგებო კომისიის წევრებად აცხადებდნენ. ბანდიტები შეპყრობილი არიან თავიანთ წინამძღოლ ვინმე ბეკ-ნალბანდოვით. გამოძიება სწარმოებს.

— **ზუგდიდის სახაზინის გაძარცვა.** 11 თებერვალს ბოროტ გამზრახველების მიერ გაქურდულ იქნა ზუგდიდის ხაზინის კასა და გატაცებულ იქნა 9 მილიარდი მანეთი. კასა გატეხილი იყო კედლის გამონგრევის საშუალებით. შეპყრობილია 19 კაცი რომელთაც ბრალდებათ ეს ბოროტ-მოქმედება. შეპყრობილთა შორის 3 პირი აღმოჩნდა ხაზინის მოანგარიშენი. ყველა დაპატიმრებული გადაეცნენ საქართვ. საგანგებო კომისიას.

— **დიდ ფასიანი ღვინის ქურდობა.** სახ. სახელმწიფო მამულების ღვინის საწყობებში აღმოჩენილ იქმნა ძველი ღვინოების გაქურდვა, რომელიც ინახებოდა სანიმუშოდ, ღვინოები წაღებულია რამდენიმე მილიარდის ღირებულებისა. მილიციის მიერ აღმოჩენილია ამ ღვინოების ქურდები, რომელნიც არიან: ბარის ეგოროვი და მესიკოვი ანატოლი. დამნაშავენი დანაშაულობაში გამოტყდნენ.

— **მენშევიკების კიდევ ერთი სტამბის აღმოჩენა.** ამა წლის 18 იანვრიდან დაწყებულ კვლევაძიების შემდეგ საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ აღმოჩენილ იქნა მენშევიკების მეორე სტამბა მოქ. გიორგი მუჯირიშვილის სახლში სამოვოლნაიას ქუჩაზე ქალაქის განაპირას (ნადიროვკაში). სტამბა მოთავსებული იყო მუჯირიშვილის სახლზე მიშენებულ ფიცრულში.

**განათლების კომისარიატში.** 17 მარტს განათლების კომისარის ამხ. დ. კანდელაკის თავმჯდომარეობით მოხდა თათბირი სოციალურ აღზრდის მომავალ რეფორმის შესახებ. თათბირს დაესწრო განათლების მუშაკთა კავშირის პასუხის მგებელ თანამდებობის პირთა გარდა განათლების მუშ. კავშირის თავმჯდომარე ამხ. შავერდოვისა. ტფ. განათლების განყ. გამგე ამხ. ლ. რუხაძე, უმაღლ. სკოლის წარმომადგენელი გ. ახვლედიანი და გ. კონიაშვილი. საცდელ საჩვენებელ სკოლების გამგე, მეოთხე ტეხნიკუმის გამგე ალ. მდივენი და სხვა. მოსმენილ იქნა განათ. კომისრის მოადგილის ამხ. მ. პ. ორახელაშვილის მოხსენება, რომლის მიხედვით, საერთო განათლების დასრულების მიზნით შეაცვალოს სტრუქტურა მთლიან შრომის სკოლების. პროექტმა წამოაყენა სკოლის ორი საფეხური პირველი—ოთხწლიანი მასსიური სკოლა, სავალდებულო და საზოგადო. მეორე საფეხური—2 ჯგუფიდან შესდგება: ა) სამ წლიანი და ბ) ორ წლიანი. სკოლის ასეთ ტიპათ მიჩნეულია 9 წლიანი კურსი —დასრულებული საერთო განათლებით, რომელიც იძლევა უმაღლეს სკოლის კონტიგენტს.

— **უპარტიო მუშები სარწმუნოების წინააღმდეგ.** აღმასკომის მიწად-მოქ. განყოფილების მუშებმა, რიცხვით 47 კაცმა, განცხადებით მიმართეს პროფკავშირთა საბჭოს, იშუამდგომლოს სახ. კომისართა საბჭოს წინაშე, რათა გადაცემულ იქნეს მათ განკარგულებაში სამკითხველოს მოსაწყობად ალექსანდრეს ბაღის ტაძარი.

# ეკონომიური ცხოვრება

**მადნის წარმოების ორგანიზაციის საკითხები.**

(„ჩემო"-ში მთავრობის წარმომადგენლის ამხ. მოდებაძესთან საუბრიდან.)

ს. ს. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსთან, ჩემ მიერ შედგენილ პროექტის მიხედვით, არსდება განსაკუთრებული სამმართველო მადნის მრეწველობის საქმის მოსაწესრიგებლად საექსპორტო, საკონცესიო და საექსპლოატაციო განყოფილებებთან. ეგ სამმართველო იქნება არა მარტო გამმაერთიანებელი ორგანიზაცია, რომელიც გადასწყვეტს მადნის წარმოების საკითხებს,—არამედ იგი გამოვა ამავე დროს როგორც მწარმოებელი და იქნება თანასწორ-უფლებიანი წევრი საზოგადოება „ჩემო"-ში, წესდების საფუძვლების თანახმად.

მთავრობას აქვს საკმაო საშუალებანი: გადასამუშავებელი ქვანახშირი, ნაციონალიზაცია ქმნილი წყაროები და სხ. ეგ საშუალებები საკმაოდ საკმარისია იმისათვის, რომ შეიქმნეს მსხვილი საექსპორტო ორგანიზაცია.

ჩვენს ხელთ არის აგრეთვე საკმაო კაპიტალი, გამოცდილი, მადნის დამუშავების მცოდნე პირები, ამიტომ სულ მოკლე ხანში შესაძლებელია ჩვენ განვდევნოთ კერძო კაპიტალი მადნის მრეწველობიდან და დავიკავოთ „ჩემო"-ში პირველი ადგილი. ჩვენს განკარგულებაში არის მრავალი ფაქტები, რომლებიც იძლევა ამ მიზნის მიღწევის იმედებს. ყველაფერი დამოკიდებულია ჩვენს ცოდნასა და ადმინისტრატიულ მოქნილობაზე. ახლო მომავალი გვიჩვენებს, თუ როგორ შევსძლეთ ჩვენ ამ ამოცანის გადაწყვეტა და სისრულეში მოყვანა.

ამას გარდა, ჩემ მიერ პროექტად წამოყენებული ორგანიზაცია დიდს ყურადღებას მიაქცევს საწყებათაშორისო საკითხებს ქვანახშირის წარმოების სფეროში...

განზრახულია სამმართველოსთან საბჭოს შედგენა, რომელშიაც შევლენ ყველა უწყებათა წარმომადგენლები, და ყოველი საკითხი, რომელიც შეეხება მადნის მრეწველობას, წინდაწინ განიხილება საბჭოში. საბჭოს ექნება მხოლოდ თათბირის ხასიათი. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ უწყებები თავიანთ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარების დროს ყოველთვის საბჭოს გადაწყვეტილებით ისარგებლებენ.

მიზან-შეწონილია თუ არა ასეთ ორგანიზაციის უ. ს. საბჭოსთან არსებობა? რა თქმა უნდა არა უ. ს. ს. არის საწარმოო ორგანიზაცია, რომელიც ამზადებს პროდუქტებს საშინაო ბაზრისათვის, მადანი კი უმთავრესად იგზავნება ს. ზღვარ-გარედ, უცხოეთის ბაზარში. საექსპორტო ორგანიზაცია და საგარეო ვაჭრობა არ შედის უ. ს. საბჭოს მოღვაწეების კომპეტენციაში.

ჩვენ მიერ წამოყენებულ ორგანიზაცია ვერ შევა ვერც ა. კ. საგ. ვაჭრობის კომისარიატის განკარგულებაში, ვინაიდან სა[illegible] მიკუთვნილი საწარმოო ხასიათის სამუშაო. იმას გარდა, მადნის წარმოების ს[illegible] მძიმე საქმეა და ამიტომ აუცილებელია ცალკე, სპეციალური ორგანიზაციის დაარსება ქვანახშირის მრეწველობის საკითხების გასაწესრიგებლად.

# მუშათა ცხოვრება.

**ქიმიკოსთა კავშირში.**

**ურთიერთ დამხმარე სალაროს გახსნა.**

მარტის 20-დან დაიწყო ქიმიკოსთა კავშირის ურთიერთ დამხმარე სალარომ თავისი მოქმედება. სალაროს ბიურომ დაუგზავნა ცირკულიარები ყველა ადგილკომების გამგეებს, რომ ამის შემდეგ თხოვნები დახმარების შესახებ უნდა გამოიგზავნოს სალაროს ბიუროს სახელზე. ბიუროს სხდომები ექნება თვეში ორჯელ. აუცილებელ საგანგებო საკითხების გადასაწყვეტად კრებები შეიძლება მოწვეულ იყოს ცალკე. დროებითი დამხმარე თანხა სალარომ განსაზღვრა 5 მილ. მანეთამდე.

**კულტკომისიის მოქმედება.**

კულტკომისიის მუშაობა წარსულ თვეში გამოიხატა უმთავრესად: წერაკითხვის უცოდინარობის სრულ მოსპობაში, წევრების მუშათა კლუბში ჩაწერაში, გაზეთების გამოწერაში, დრამატიულ და მუსიკალურ წრეების დაარსებაში და საღამოების მოწყობაში. ამრიგად კულტურული მუშაობა მიმდინარეობდა ამ ფარგლებში, რაიც კავშირის წევრთათვის უნდა დამაკმაყოფილებელი იყოს.

**პროფტეხნიკური განათლება.**

პროფტეხნიკური განათლება საერთოდ ჯერჯერობით საქართველოში ვერ არის კარგად დაყენებული. უმუშევრობა შეიძლება ერთი მხრივ აიხსნებოდეს ამ გარემოებით. ამ ნაკლის თავიდან ასაცილებლად განზრახულია მუშათა ფაკულტეტთან გაიხსნას პროფტეხნიკური განყოფილება პროფსაბჭოსთან დაარსდა ექსკურსიის (მოგზაურობის) ბიურო.

**კულტმუშაობის გასაფართოვებლად.**

ამხ. ბაბაჯანიანის და არაქელოვის მოხსენების თანახმად კავშირის კულტმუშაობის გასაფართოვებლად საჭიროა უპარტიო მასსების ჩარევაც. მუშაობა ადგილებთან წესიერია მაგრამ აკლიათ მეტი შემჭიდროება და გათვითცნობიერება. ამხ. არაქელოვს საჭიროდ მიაჩნია კულტმუშაობისთვის გამოყენებულ იქნას თვით საქ. პროფ. საბჭოს კულტ-განოფილების აპარატიც.

**საბჭოთა მუშაკების კავშირში.**

**ბრძოლა უმუშევრობის წინააღმდეგ.**

სამდივნომ განიხილა უმუშევართა ფონდის გაძლიერების საკითხი. დამზღვევი კასა საბჭოთა მუშაკების კავშირს სე[illegible]ციის უმუშევართ ეხმარება 200 კაცს, მაგრამ კავშირს კი უმუშევარი წევრი ჰყავს 2,500 კაცი. უმუშევართა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სამდივნომ მოაწყო საღამო, რომლიდანაც წმინდა შემოსავალი დარჩა 400 მილიონი მანეთი. ვინაიდან ეს თანხა მცირეა და უმუშევართ მაინც და მაინც შესაფერ დახმარებას ვერ გაუწევს, კავშირმა გადასწყვიტა უმუშევარ წევრთათვის დაარსოს ისეთი დაწესებულება, რომელიც შეიქმნება ერთგვარ წყაროთ უმუშევრობის წინააღმდეგ საბრძოლველად. დაარსდა კომისია რომელსაც ევალება ამ საქმის ხელმძღვანელობა. კავშირს ერთერთ საშუალებად მიაჩნია კინოს დაარსება და მასში, უმუშევართა მონაწილეობა, მხოლოდ დაცული უნდა იყოს პროფესიონალური წესი და რიგი.

**წევრთა განწმენდა.**

კავშირს ერთ უმთავრეს საკითხად მიაჩნია თავის წევრთა გაწმენდა და ზედმეტ ელემენტების განტვირთვა: გაწმენდა საჭიროა როგორც ტფილისში, ისე პროვინციაში. უკანასკნელ ხანში 5226 წევრიდან კავშირმა გამორიცხა 112 კაცი. მარტისთვეში ეს საკითხი საბოლოდ დამთავრება.

**მედიკო-სანიტარულ კავშირში.**

**მუშათა სახლები.** მედიკო-სანიტარულ კავშირის სამდივნომ შუამდგომლობა აღძრა საქართველოს პროფსაბჭოს წინაშე, რათა თავის კავშირის წევრებისთვის მას დაეთმოს 4 მუშათა სახლი. ასეთი სახლები მედიკო-სანიტარულ კავშირის წევრთათვის აუცილებელია რადგან უმრავლესობა მათგანი ცხოვრობს ქალაქის განაპირას და ეს მეტად აძნელებს სამსახურში მიმოსვლას. მუშათა სახლების დაარსებით ბევრნაირად გაუმჯობესდება წევრთა ყოფა-ცხოვრება მათი მახლობელ ბინებში ჩასახლებით.

**საბჭოთა მუშაკების კავშირში.**

**სატარიფო ეკონომიურ განყოფილებაში.** თებერვლის განმავლობაში სატარიფო-ეკონომიურ განყოფილებას მოუხდა მუშაობა განსაკუთრებით სატარიფო დარგში. საქონლის მანეთის კურსით ხელფასის გამოანგარიშებამ და კოლექტიურ ხელშეკრულების დადებამ ბევრი სხვადასხვაობა გამოიწვია, ბევრ თანამშრომელ მუშა-მოსამსახურეებში უკმაყოფილება დაიბადა. ამ ფრიად მწვავე საკითხის გადასაწყვეტად განყოფილებამ შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიასთან ერთად შეიმუშავა წესი, რომლის ძალით გატარდა კოლექტიური ხელშეკრულებანი დაწესებულებებში.

**შრომის დაცვის განყოფილება.** შრომის დაცვის განყოფილება ყოველ სადავო საკითხს აწესრიგებს მომრიგებელ კამერასთან ერთად. კავშირის მიზანია უპირველესად ყოველი სადავო საკითხი გადაწყვეტილი იყოს მუშების სასარგებლოდ. თებერვლის განმავლობაში ყველა სადავო საკითხები შემოსული იყო უმთავრესად შრომის დაცვის პირობების დარღვევის გამო.

**სამკურნალო დახმარება.** თებერვლის თვეში სამკურნალო დახმარება გაეწია—1 წევ. დამზღვევ კასის საშუალებით პენსია მიეცა მოხუცებლობის გამო—1 წევ. დამარხვის შემთხვევა იყო—1.

**კულტმუშაობა.** პირველ რიგში კავშირი აწარმოებს წერა-კითხვის უცოდინართა სრულ მოსპობას, პროფტეხნიკურ განათლების დარგში კულტ. განყოფილებამ თებერვალში საბუღალტერო კურსები დაამთავრებინა რამდენიმე წევრთ. პროლეტკულტთან არსებულ დრამატიულ სტუდიაში გაიგზავნა 5 კაცი. თებერვალშივე ამხ. დიევსკის სტუდიელთა მიერ გაიმართა მუშა-მოსამსახურეთათვის უფასო წარმოდგენა. წარმოდგენილ იქნა რევოლიუციონური პიესა. ამას გარდა გაიმართა ფასიან წარმოდგენაც, რომლიდანაც კავშირის ფონდისთვის დარჩა 15 მილიონი მანეთი.

**ინჟინერთა სექცია.**

თებერვალში დაარსებულ იქნა ინჟინერთა სექცია. სექცია ხელმძღვანელობს ინჟინერთა ცენტრალურ ბიუროს, რომელიც არსებობს საქართველოს პროფსაბჭოსთან ამ ჟამად სექცია მუშაობს ტეხნიკურ ძალების რაოდენობის გამოსარკვევად.

**საორგანიზაციო განყოფილების მოქმედება.**

საორგანიზაციო განყოფილებამ მჭიდრო კავშირით მოქმედობს პროვინციის განყოფილებებთან, განყოფილების ერთ უმთავრეს ამოცანას შეადგენს უმუშევრობის საკითხი, რომლის გარშემო გადაუდგამს არა ერთი მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ნაბიჯი, განყოფილება შრომის ბირჟასთან ერთად აწესრიგებს ამ ფრიად მწვავე საკითხს.

## სომხეთის დახმარების კომიტეტში

ტფილისში არსებობს სომხეთის საბჭოთა ხელისუფლების სომხეთის დახმარების ერთი შტო, რომლის ამოცანაა ნივთიერათ დაეხმაროს სომხეთის დანგრეულ სოფლებს. მარტის 10 ს შედგა ამ კომიტეტის წევრთა საერთო კრება ს. ლისიციანის თავმჯდომარეობით. კრება კომიტეტის მდივანმა ა. ბარხუდარიანცმა წაიკითხა მოხსენება კომიტეტის უკანასკნელი სამი თვის მოღვაწეობის შესახებ. ამ მოხსენებიდან სჩანს, რომ კომიტეტს მიუღია ტანსაცმელი ამერიკულ კომიტეტიდან და კონსერვები ფრანგულ ჯვარის საზოგადოებიდან. გაუყიდნია ესენი ზემოხსენებულ მიზნისთვის, აგრეთვე უფასოდ მიუცია ტანსაცმელი სომხის საწყალ ინტელიგენტებისთვის და სომხის საწყალ ლტოლვილებისთვის, შემდეგ კ. აზიანცმა წაიკითხა მოხსენება საფინანსო კომისიის მოღვაწეობის შესახებ. ამ ანგარიშიდან სჩანს, რომ 3 თვის განმავლობაში მარტის 1-მდე შემოსულა 830, 117, 500 მ. (ამაში 10, 874, 500 მ. გასულ პერიოდიდან მიღებულია), დახარჯულია—125, 619, 500 მ. პირველ მარტისთვის დარჩა 704, 488,000 მან., რომლისგან ვალიუტით 702, 010,000 მან., და 2,488,000 ამიერ-კავკასიის ბონებით. მოხსენება და ანგარიში დამტკიცებული იქმნა კრების მიერ.

კრების ბოლოს კომიტეტის თავმჯდომარემ ს. არუთუნიანმა დაწვრილებით გააცნო წევრებს ის პროექტი, რომლის საშუალებით შეიძლება დაარსდეს „სამეურნეო ფონდი" სომხეთის დაზიანებულ სოფლების დასახმარებლად.

ამ პროექტით ქალაქი ტფილისი გაყოფილია 8 ნაწილათ და დაუდვიათ შეძლებულ სომხებზე მოვალეობა შეიტანონ დაზიანებულ გლეხთა სასარგებლოთ ხარკი შეძლებისდაგვარად 5,10 და 15 მანეთი ოქროთი. კომიტეტი იმედოვნებს, რომ კომიტეტის წევრები დაეხმარებიან ფულის შეგროვებაში. ამ რიგათ განზრახულია მოაგროვონ 4000 მილიონი მანეთი.

ბოლოს მოხდა არჩევნები. ხარკის მოსაგროველ კომისიის წევრებათ აირჩიეს: თერზიბაშიან, მურადბეგიან. ექიმი შავერდიანი, ექიმი ისახანიანი, ქალბატონები თუმანიანი, ლისიციანი და საფრასტიანი. კანდიდატებათ წევრობისა—ექ. შავერდიანი და კბილის ექიმი კარაგულიან, სარევიზიო კომისიის წევრებათ: მურადბეგიანი და ოვ. მალხისიანი

# მენშევიკური პარტიის დაშლა

**გაზეთ ,,მუშის'' № 100-ში ვკითხულობთ,**

„გთხოვთ თქვენი გაზეთის უახლოს ნომერში მოათავსოთ შემდეგი ჩვენი განცხადება საბჭოთა რესპუბლიკის მუშებისა და გლეხების საყურადღებოდ.

ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი საქართველოს მენშევიკურ პარტიის ყოფილი წევრები დღემდის ამ პარტიაში მუშაობით მივედით იმ რწმენამდე, რომ მენშევიკური პარტია, რომელიც თავის-თავს მუშათა პარტიას უწოდებს, დღითი-დღე შორდება მუშათა კლასის ინტერესების დაცვის საქმეს და ხდება კაპიტალისტების და მემამულეების დაუფარავი დამცველი.

ევროპაში ისინი თავს იტეხენ მშრომელთა უბოროტესი მტრების კარებთან და უსისინებენ ანტანტასა და მის ლაქიებს სოც. პატრიოტებს საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ.

ჩვენში, საქართველოში, თავისი შოვინისტური საქმიანობით და გამცემლობით ეს პარტია იქამდე მიდის, რომ მატერიალურად და მორალურად ასაზრდოებს და ზურგს უმაგრებს ბანდიტებს. მათ შორის ყოფილ მეფის ოფიცერს, ყოფილ თავადს ჩოლოყაშვილს.

ჩვენთვის ნათელია ახლა, რომ საქართ. სოც. დემოკ. პარტია (მენშევიკებისა) არის პარტია, მუშათა კლასის და გლეხების შეურიგებელი მტრე-

ბის, ნაციონალურ და საერთაშორისო ბურჟუაზიისა.

ჩვენ საზიზღრად ვთვლით ჩვენთვის ამიერიდან ამ პარტიაში დარჩენას და ვაცხადებთ ხმა მაღლა ჩვენს გამოსვლას ამ პარტიის რიგებიდან.

გვწამს, რომ საბჭოთა ხელისუფლება არის ნამდვილი მშრომელთა მასების ხელისუფლება, რომელიც ვალდებულია დაიცვას ყოველმა პატიოსანმა მუშამ და გლეხმა.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

(ხელს აწერს 50 კაცი, მათში სამი ფედერალისტი. **თოდუა ანდრო, გაგოშიძე პ. და ისმაილ თევზაძე.**)

## როდის შეიყვარეს მენშევიკებმა საქართველო

როდესაც 1917 წ. მენშევიკები და ესერები ბატონობდნენ რუსეთში, ქართველი მენშევიკებიც მათთან ერთად თანამშრომლობდნენ, რუსეთში ყოფნის დროს მათ საქართველო არც კი აგონდებოდათ, არც მისთვის ზრუნავდენ; პირიქით ებრძოდნენ, თუ ვინმე ამოიღებდა ხმას საქართველოს შესახებ. ყველამ ვიცით მათი მოღვაწეობა საქართველოში, და რუსეთში ყოფნის დროს.

ჩემს წინაშეა 1917 წლ. გაზ. „ჯარის კაცის“ № 17, რომელშიც მოთავსებულია კორესპონდენცია, შემდეგ სათაურით: „ქართველ ჯარის კაცთა დელეგაცია მოსკოვში“, სხვათაშორის აქ არის მოთავსებული, თუ რა მიზნით იყო დელეგაცია რუსეთში ინახულეს გ. ე. გეგეჭკორი, რომელთაც სთხოვეს მათ, რომ ნება მიეცა ქართველებისათვის შეედგინათ ქართული ჯარი. დელეგაციამ ვერ მიიღო პასუხი სამ დღეში და როს ხელ-მეორედ წარმოსდგნენ მის წინაშე, გეგეჭკორმა განუცხადა რომ ნებას არ მივცემ ქართველებს თავისი ნაციონალური პოლკების შედგენისაო.

მკითხველი ნათლად დაინახავს თუ როგორ ზრუნავდენ მენშევიკები საქართველოზე

ჩვენ მემარცხენე სოც.-ფედერალისტები ვიცნობთ მათ ანტი-ეროვნული მოღვაწეობას. როდესაც ქართველი მენშევიკებს კისერი მოსტყდათ რუსეთში, როდესაც რუსეთის მენშევიკური პარტია დაამარცხა ბოლშევიკებმა, ოქტომბრის რევოლიუციის დროს მაშინ ქართველმა მენშევიკებმა დასტოვეს რუსეთი და შემოაფარეს თავი საქართველოს მას შემდეგ მენშევიკებმა „შეიყვარეს“ ბევრათ საქართველო, გასწყვიტეს ყოველივე კავშირი რუსეთთან, და დაიჭირეს კავშირი დაშნაკელებთან და მუსავატელებთან.

მე მაგონდება, როდესაც 1917 წ. დამარცხებული და გამოქცეული მენშევიკი ირ. წერეთელი ჩამოვიდა საქართველოში —ჩრდილო-კავკასიიდან, სამხედრო გზით, და როცა მას შეხვდნენ საბურთალოზე, მან ერთ თავის სიტყვაში სთქვა; მართალია ჩვენ დაგვამარცხეს რუსეთში ბოლშევიკებმა, მაგრამ ვერც ერთი ძალა ვერ დაგვამარცხებს საქართველოში, ჩვენ შევქმნით დემოკრატიულ რესპუბლიკასო“.

აშკარაა მენშევიკების საქართველოში გამაგრებას ქონდა პარტიულ პრესტიჟს აღდგენის დანიშნულება და მეტი არაფერი.

მთელი 25 წლის განმავლობაში მენშევიკები გვებრძოდნენ ჩვენ, როგორც ლიტერატურულად ისე თავდასხმებით—ფიზიკურად, ისინი ყოველთვის უკიჟინებდნენ, რომ თქვენ ბერების და მღვდლების პარტია ხართო, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ დავინახეთ, რომ მენშევიკებს მჭიდრო კავშირი აქვსთ სამღვდელოებასთან.

მენშევიკები და მემარჯვენეები გვიკიჟინებდნენ რომ თქვენ „გაწითლდითო“ ჩვენ მუდამ ნამდვილი **წითელი** ვიყავით. ჩვენ სიწითლისა არ გვეშინიან. ვისაც ეშინიან და გაურბის ის მოღალატეა მუშათა კლასისა.

ამ ბოლო დროს თვით მენშევიკები აღიარებენ, რომ მათი პარტია გადაიქცა ბანდიტური პარტიად. ასეთი ტრაგედიით დასრულდა მენშევიკების პატრიოტიზმი.

ასოთ-ამწყობი **ივ. ზერიკაციშვილი.**

## მოწერილი ამბები

**ქ. ოზურგეთი.** ოზურგეთის მაზრა, ე. ი. გურია, იმ თავითვე ცნობილი იყო ჩვენში როგორც კულტურული, ისე სოციალისტური და რევოლიუციონური შეგნებით.

ეს მხარე წარმოადგენდა ყველა პარტიისათვის დიდ ინტერესს და იმედს.

უკანასკნელად მენშევიკების ბატონობის დროსაც, ეს პარტია გურიის გლეხობაში ხედავდა იმ ხალხს, რომელიც პირველი იქნებოდა მათ დამცველ რაზმებში. უნდა ითქვას, რომ მათ იმ თავითვე ღრმათ ქონდათ გადგმული ფესვები გურიაში. მაგრამ არც ისტორიულად არც მდგომარეობით გურიის გლეხი არ ყოფილა ისეთი „რევოლიუციონერი“ რომელიც მენშევიკებთან მოთავსებულიყო. მიუხედავად ამისა, გურულ გლეხისთვის რომ გეკითხათ, ის ვერ ტოვებდა „მენშევიკობას“ იმიტომ, რამ მათ პარტიაზე „დანახარჯი“ იყო.

საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებიდანაც მენშევიკები ძლიერ პროპაგანდას ეწეოდენ გურიის გლეხობაში, საბოლოოთ მათ მაინც ველარ შერჩათ თავიანთი ჩალხი. გლეხობამ უკვე კარგათ დაინახა, თუ როგორი მოყვარენი ყოფილა მათი მენშევიკები და იმათ ყოველგვარი ნდობა დაკარგეს მათ თვალში. გურიაში მენშევიკები გაკოტრდენ, როგორც იდეურათ, ისე ორგანიზაციულადაც და ბოლოს მათი სვებედი იმგვარად მიიწურა, რომ მენშევიზმი და ბანდიტიზმი სინონიმები გახდა. მათი ე. წ. „პარტიული ყაჩაღები“ თავს ესხმება ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებს, კერძო პირებს და ზოგს მოკვლით, ზოგს ცემატყეპით უმასპინძლდებოდა.

უკანასკნელი ამგვარი შემთხვევა იყო საექსპედიციო ჯარების უფროსის ობოლაძეზე თავდასხმა. ამგვარია მათი მოღვაწეობა და პოლიტიკური ბრძოლა რომელიც ხალხს მშვიდობიან ცხოვრებას არ ანებებს.

მაგრამ გურიის ხალხი უკვე აღარ უყურებს მენშევიკების ჩურჩულს და მშვიდობიანი შრომით სასოფლო მეურნეობაშია ჩაბმული.

უკანასკნელად ტარდება ახალი სამიწადმოქმედო კანონი, რომელსაც დიდი აღფრთოვანებით ეგებება გლეხობის ულარიბესი ნაწილი, არჩეულია სასოფლო კომიტეტები მიწის საკუთრების რაოდენობის გამოსარკვევად, რომელშიაც შედის ღარიბი გლეხები უმთავრესად.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლება თანდათან მეტ თანაგრძნობას პოულობს გლეხობაში.

**დ. არობელი.**

## მეცნიერება და ტექნიკა

**გამოფენა სოციალურ მეცნიერებათა საკითხებზე.** არგენტინის მთავრობა აწყობს ბუენოს—აირესში დიდ საერთაშორისო გამოფენას სოციალურ მეცნიერებათა საკითხებზე; ეს გამოფენა შესდგება 1924 წლის პირველ ნახევარში. ამასთან ერთად მოწვეულ იქნება საერთაშორისო კონგრესი სოციალურ საკითხებისათვის. გამოფენა ცხრა განყოფილებათ არის დაყოფილი: სახელმწიფოებრივი მართველობა, აღზრდა, შრომის ორგანიზაცია, ეკონომიური ორგანიზაცია და სხვ.

**გრანდიოზული საგამომცემლო ფირმა.** ნიუ-იორკში შესდგა გრანდიოზული წიგნების გამომცემელი ფირმა, მსგავსი გერმანულ რეკლამის უნივერსალურ ბიბლიოთეკისა. ფირმას აქვს საკუთარი ქაღალდის ქარხნები და განზრახულია ყოველწლიურათ სამ მილიონ ნახევარი ტომის გამოცემა.

**ძველი კულტურის ნაშთები ლაპლანდიაში.** პეტროგრადში დაბრუნდა რუსეთის ლაპლანდიის უკიდურეს ჩრდილოეთის ექსპედიციის უფროსი პროფ. ბარჩენკო, რომელიც გაემგზავრა—იქ წარსული შემოდგომისა. პროფ. ბარჩენკოს სიტყვებით, ლაპლანდიაში ნახული ძველი კულტურის ნაშთები ეკუთვნიან უფრო ძველ პერიოდს, ვიდრე ეგვიპტის ცივილიზაციის ჩარხვის ეპოქაა.

## სხვა და სხვა

**პარიზის ცხოვრება.** პარიზის პოლიციის პრეფექტურამ გამოაქვეყნა მეტად საინტერესო სტატისტიკური ცნობები 1922 წლისა, რომლებიც დამახასიათებელი არიან პარიზის თანამედროვე ცხოვრებისა. პრეფექტურის ცნობებით, გასართობ დარბაზთა რიცხვი გაიზარდა 541-დან 657-მდი ამას გარდა პარიზში არის 757 „ტანცლოკალები“, 216 დარბაზი კონცერტებისა და ცეკვისათვის და 776 ბინა, სადაც დროიდან დრომდე ხალხი ცეკვავს მექანიკური ინსტრუმენტების აკომპანიმენტის ქვეშ. პარიზის პრეფექტურაში საანგარიშო წლის განმავლობაში გამოცხადებულა 38.983 უცხოელი თხოვნით, რათა მათთვის ნება დაერთოთ პარიზში ცხოვრებისა. ასეთი უცხოელების რიცხვი წინა წელთან შედარებით შემცირდა 17.000-ით. 4813 ქალი იმყოფება ზნეობის პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ, რომელთაგან 125 ჯერ კიდევ არ მიუღწევია 18 წ. ჰასაკისათვის. ქალები იმღენად ხშირათ არღვევდენ პრეფექტურის დადგენილებებს, რომ მათ საშუალოდ თითოეულს მოუხდა ათჯერ ყოფნა პოლიციის სატუსაღოში. საკვირველებას წარმოადგენს პარიზის ქუჩის შემთხვევების რიცხვი: 1922 წელს საშუალოდ ყოველ 20 წამში რომელიმე ავტომობილი გადაუარდა ადამიანს; სულ ასეთი შემთხვევები აღნიშნულბა 44.365, რომელთაგან 106 სიკვდილით დამთავრდა და 127 მძიმე ჭრილობებით. ამას გარდა 1922 წელს აღნუსხულია 15000 შემთხვევა მგზავრების მსგავსივე დაჯახებისა სხვა და სხვა სახის ეტლებთან, 6538—ტრამვაისთან: ასე რომ ყოველ 6 წამში პარიზის ქუჩაზე რაამე შემთხვევას აქვს ადგილი ქუჩაზე დამთვრალი გამოსვლისათვის მოხდა 13.697 დატუსაღება. 1922 წ. პარიზში სულ 113 ქურდობა მომხდარა, 191 მკვლელობა და მოუპარავთ 80 ავტომობილი.

## ხელოვნება

**ია კარგარეთელის იუბილე.** ამ ახლო მომავალში სახელმწიფო ოპერის დარბაზში გაიმართება ია კარგარეთელის 35 წლის მუსიკალურ-საპედაგოგიო მოღვაწეობის იუბილე. ია კარგარეთელი ცნობილია, როგორც ნიჭიერი კომპოზიტორი, პედაგოგი, ჟურნალისტი და ავტორი რამოდენიმე წიგნებისა ქართულ მუსიკის შესახებ. მანვე დაწერა ახალი რომანსები.

—

**ბურჟუაზიულ ქალის გასამართლება.** შაბათს მარტის 24, სახელმწიფო პრველ კონსერვატორიაში გაიმართება საყურადღებო გასამართლება. დამნაშავის სკამზე ზის ბურჟუაზიის ქალი, რომელსაც ბრალდება ოჯახის გახრწნა, კომფორტი, ბურჟუაზიული ტენდენციები და სხ. ბრალდებლათ გამოდის პროფესორი ჩემოდანოვი, იცავს ნაფიცი ვექალი ყანჩელი. კინოს მსახიობი ქალი მაქსიმოვა გამოვა დამნაშავის როლში. სასამართლოს თავმჯდომარეობს დუბინსკი. დაკითხავენ აგრეთვე მოწმეებს: მოსამსახურე ქალს, მეეზოვეს, გაყრილ ქმარს, და სხ., რომელნიც ამტკიცებენ ბურჟუაზიულ ქალის უზნეო ცხოვრებას.

—

— **ახალი წიგნები.** მოსკოვში გამოიცა სომხების ახალგაზრდა პოეტების წიგნები: ე. ჩარენც „პოეზო ზურნა“, რომანსი, „ანსერი“ და აბოვის „დანა ყელში“.

—

**ქართული პიესები სომხურათ.** ითარგმნება სომხურ ენაზე რამოდენიმე ქართული პიესები. აგრეთვე ქართულ ენაზე განზრახულია თარგმნა შანთის პიესა „ძველი ღმერთები“.

—

**ვინიჩენკოს პიესა ქართულათ.**—შალვა გომართელმა გადათარგმნა ქართულად უკრაინელ დრამატურგ ვინიჩენკოს პიესა „ცოდვა“. პიესა დაიდგმის სახალხო სახლში შალვა დადიანის რეჟისორობით.

—

**ვასილ ბარნოვის ახალი რომანი—ტრილოგია.** ჩვენმა მხცოვანმა მწერალმა ვასილ ბარნოვმა დაამთავრა ახალი ისტორიული რომანი—ტრილოგია. შინაარსი აღებულია საქართველოს ისტორიულ გმირ გიორგი სააკაძის ცხოვრებიდან. ავტორს საშუალება არა აქვს გამოსცეს თავისი ნაწარმოები.

—

**ია ეკალაძის „ახალი რომანი“**—ცნობილმა ბელეტრისტმა ია ეკალაძე—ცინცაძემ დაამთავრა დიდი რომანი ჩვენი [illegible] ცხოვრებიდან.

ია ეკალაძეს უსრულდება 25 წელიწადი, რაც ჩვენ სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობს.

—

**დრამატიული წრე.** სოციალურ აღზრდის განყოფილებასთან არსდება ახალგაზრდა სცენის მოყვარეებიდან ქართლი დრამატიული წრე, რომელსაც ევალებათ ყოველ კეირეულად მართოს წარმოდგენები განსაკუთრებრივ მოსწავლეთ ახალგაზრდობისათვის. რეპერტუარში შევა ის პიესები, რომელთაც სწავლა-აღზრდის მნიშვნელობა ექნება.

—

**წითელი ვარსკვლავი.** ქართულ დივიზიის პოლიტგანყოფილება სცემს ამ დღეებში პოლიტიკურ ჟურნალს ქართულ ენაზე „წითელი ვარსკვლავი“.

—

**„ჰამლეტი“ ქართულ სცენაზე.** ახლო მომავალში ქართულ სცენაზე დაიდგმის შექსპირის „ჰამლეტი“ სრული ახალ მიზან სცენებით. კ. მარჯანიშვილისა. თვით ჰამლეტის როლს შეასრულებს გიორგი დავითაშვილი.

## შესწორების გასწორება

**„ტრიბუნის“** 18 მარტის ნომრის „ახალ-ამბებში“ მოთავსებულია: „წარმომადგენელის დანიშვნა შრომის ბირჟაში. შრომის კომისარიატის წარმომადგენლად შრომის ბირჟაში დანიშნულია ამხ. ჯაიანს ევალება ზედამხედველობა გაუწიოს იმ დაწესებულება-წარმოებებს, რომელნიც მოსამსახურეებს მიიღებენ შრომის ბირჟის გარეშე“.

**უნდა იყოს:** „წარმოება - დაწესებულებებში შრომის ბირჟის გარეშე მიღებულ მუშა-მოსამსახურეთა მომხსნელ კომისიაში შრ. ბირ. კომიტეტიდან წარმომადგენლად დაინიშნა ამხ. ჯაიანი“.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

**დაკარგე** უვადო პასპორტი მოცემული ამამლის თემის აღმასკომისაგან № 7166. ალექსანდროპოლის მაზრა ერევნის გუბერნია გრიგოლ დავითის ძე პოლოსოვი.
398 1—1

# ამიერ-კავკასიის ს. ს. რესპუბლიკის რკინის გზების სამმართველო

აცხადებს, რომ 26 მარტს ხსენებულ სამმართველოს შენობაში (ვაგზლის ქუჩა № 1) დღის 12 საათზე დანიშნულია **წერილობითი შეჯიბრება** 1923 წლის პირველი აპრილიდან იჯარით გასაცემად:

## 1-ლი კლასის ბუფეტების შემდეგ სადგურებზე:

ბაქო, აჯიქაბული, ქიურდამირი, ევლახი, განჯა, აღსტაფა, შახტახტი, ნახიჩევანი.

## მესამე კლასის ბუფეტების შემდეგ სადგურებზე:

ბაქო, ბაქო-საბუნჩი, აჯიქაბული, ქიურდამირი, ლიაკი, მიუსუსლი, დალმამეტლი, უჯარი, ევლახი, განჯა, დალიარი, საგირი, ტაუზი, აღსტაფა, სუგმაიდი, დივიჩი, კიზულბურუნი, კუსარ-ჩაი, ალაგეზი, იაშმა, ულუხანლუ, შახტახტი, ნახიჩევანი, შაგალი, ამამლი, ეჩმიაძინი (საჭიროა შეკეთება).

**მეოთხე კლასის ბუფეტის:** ბაქოს სადგურში.

## სავაჭრო დუქნების შემდეგ სადგურებში:

ბაქო, ბაქო-საბუნჩი, სანგაჩალა, აჯიქაბული №№ 1 და 2, ქიურდამირი, ლიაკი, დალმამეტლი, უჯარი, ევლახი №№ 2 და 3, განჯა №№ 1, 2, 3, 4, 5 და 6, დალიარ-საგირი, ტაუზი, აღსტაფა, კუსარ-ჩაი, კარა-ბურუნი. კალაგერანი, ახტალა, სარდარ-აბადი, ამამლი, შაგალი, შახტახტი, ნახიჩევანი.

## საპირფარეშოების შემდეგ სადგურებზე:

ბაქო. ბაქო-საბუნჩი, აჯიქაბული, ევლახი, განჯა, ტაუზი, სანაინი. ერივანი და ნახიჩევანი.

**ფარდულების შემდეგ სადგურებზე:** ქიურდამირი და განჯა.

**ხილით სავაჭროების შემდეგ სადგურებზე:** განჯა.

**მსუბუქი ტვირთის შესანახი კამერის:** ბაქოში.

ის პირნი, რომელთაც სურთ შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება, მოვალენი არიან ჩაუშვან თავიანთი განცხადებები დახურულ კონვერტში საბჭოს კარებთან ამისთვის დადგმულ სპეციალურ ყუთში ან თავის დროზე გამოგზავნონ ასეთები ფოსტით. კონვერტებზე, რომელიც გადმოცემული იქნება პირადად ან გამოიგზავნება ფოსტით გაკეთებული უნდა იქნას შემდეგი წარწერა: ბუფეტების, საპირფარეშოების და ფარდულების იჯარაზე შეჯიბრებისათვის, განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს თუ რა სურთ აიღონ იჯარით ან რა აქვთ განზრახული საიჯარო ქირა ოქროს მანეთებში.

განცხადებასთან დართული უნდა იქნას: 1) კვიტანცია განზრახული საიჯარო ქირის არა ნაკლებ 10 პროც. ბეს შეტანის შესახებ. იმ პირებმა, რომელთაც სურთ რამდენიმე წარმოების აღება, თითოეულის შესახებ უნდა შემოიტანონ ცალკე განცხადება და 10 პროც. ბე თითოეული ამ წარმოების შესახებ განზრახული საიჯარო ქირისა. 2) შეჯიბრებაში მონაწილეთა განცხადებებზე გადახდილ უნდა იქნეს საღერბო გადასახადი. იჯარით გაცემის დროს რკინის გზების სამმართველო იხელმძღვანელებს არა მარტო განცხადებული ფასებით, არამედ სხვა მოსაზრებებითაც, რომლებსაც გზების მეურნეობა მოითხოვს. 3) ბუფეტების, საპირფარეშოების და სავაჭრო ადგილების ახლანდელი მოიჯარადრეები, რომლებსაც ამა წლის პირველი მარტისათვის არ გადაუხდიათ სრულად საიჯარო გადასახადი, შეჯიბრებაზე დაშვებული არ იქნებიან. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე, გარდა უქმე დღეებისა, 10-დან დილის 11 საათამდე რკინის გზების სამმართველოში (ტფილისი, ვაგზლის ქუჩა № 1, ოთახი № 64).

№ 305 (1—1)

ტირაჟი 700 საქართვ. უმაღლ. მეურ საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტერნის ქუჩ. № 2.